ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის მარტის 20	№ 7 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ. 50. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესსიაზე მიღებული დადგენილებანი:
1. ა/კსფსრ 1932 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის (საკონტროლო ციფრების) შესახებ.
2. ა/კსფსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
3. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ და მეორე სესსიებს შორის განვლილ პერიოდში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

51. შრომისა და წარმოების დაცვისათვის სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსიების მოწყობის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

52. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მრეწველობის გაწყობილობის აღწერის ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

53. საბელღლე-სასაწყობო მავნებლებთან ბრძოლის მსვლელობის შესახებ.
54. ტფილისში სამარგარინო ქარხნის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ.
55. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 7-ის დადგენილების იმ ნაწილის აღსრულების მსვლელობის თაობაზე, რაც მეაბრეშუმეობის საკვლევო სამუშაოების დაჩქარებას ეხება.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მილებული ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესსიაზე.

50. 1. ა/კსფსრ 1932 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის (საკონტროლო ციფრების) შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მუსაბეკოვის მოხსენება და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ს. ფირუმოვის თანამოხსენება ა/კსფსრ 1932 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის (საკონტროლო ციფრების) შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს:

მუშათა კლასის შემოქმედ ძალთა აღძვრისა და გმირული ბრძოლის შედეგად, რაც აქამდე არ ნახულა და არ გაგონილა, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადში მიღწეულია მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება—სსრკ-ში სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრება.

პარტიის გენერალური ხაზის ურყევლად განხორციელებისა და ყოველგვარ ოპპორტუნიზმთან შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას მთლად სოციალისტური შეტევის ფართოდ გაშლილ ფრონტზე და უზრუნველჰყო ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება, ხოლო სახალხო მეურნეობის ცალკეულ, უაღრესი მნიშვნელობის, დარგებში—$2^1/_2$, 3 და $3^1/_2$ წელიწადში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა, რომელნიც წარმოადგენენ სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის შემადგენელ ნაწილს,—ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე და იმ ბრძოლის საფუძველზე, რაც ერთის მხრით მიმართულია პარტიის გენერალური ხაზის დასაცავად და მეორეს მხრით „დიდმპყრობელური“ შოვინიზმის წინააღმდეგ, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, აგრეთვე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ,—მთლად სსრკ-ის კავშირის მუშათა კლასის ძმური კავშირის წიაღში, დაამთავრეს 1931 წელიწადი თვალსაჩინო მიღწევებით და წარმატებებით.

ამიერკავკასიის მთელი განსაზოგადოებული მრეწველობის პროდუქცია, მიუხედავად ზოგიერთ ცალკეულ დარგებში გეგმის არა სავსებით შესრულებისა, გაიზარდა 912.500.000 მანეთიდან 1.270.400.000 მანეთამდე, ე. ი. 39,2 პროცენტით, ხოლო ა/კსფსრ-ის მრეწველობის ძირითად მძღვანებელ დარგში—ნავთის მრეწველობაში—ხუთწლედი შესრულებულია ორწელიწადნახევარში.

სოფლის მეურნეობის სფეროში 1931 წელი იყო ის წელიწადი, როდესაც გლეხობის ძირითადმა მასსებმა გადაჭრით მიიქციეს პირი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ. 1931 წლის ბოლოს ა/კსფსრ-ში, საშუალოდ, კოლექტივიზაციით მოცული იყო მთლად ღარიბ და საშუალო მეურნეობათა 40,8 პროცენტი (ხოლო საბამბე რაიონებში—50-55 პროც.), რაც იმას ნიშნავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმა გადამეტებით არის შესრულებული ერთი-სამად. განსაზოგადოებული სექტორის ნათესი ფართობი გადიდდა ერთიორად და უფრო მეტადაც და 3.14.000 ჰექტარიდან გაიზარდა 669.000 ჰექტარამდე. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვმა მიაღწია 30-დე, შედარებით 1930 წელთან, როდესაც მარტო 6 იყო, ხოლო სატრაქტორო პარკის საერთო ძალოვნება გადიდდა $17^1/_2$ ათასი ცხენის ძალიდან $36^1/_2$ ათასი ცხენის ძალამდე. 1931 წელს აღებული ბამბის რაოდენობა $2^1/_2$-ჯერ აღემატებოდა 1930 წლისას.

უწყებული წარმატება მიღწეულია 1931 წელს აგრეთვე მეცხოველეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ხაზით.

თვალსაჩინო წარმატებაა მიღწეული სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და კადრების მომზადების სფეროში, აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და საყოველთაო სწავლების შემოღების ხაზით.

ეს წარმატებანი შედეგია მუშათა და კოლმეურნეთა მასსების უდიდესი ენტუზიაზმისა და შემოქმედებითი ინიციატივისა, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართო განვითარებისა, შედეგია ბოლშევიკური ტემპებით ბრძოლისა ყოველი ფერისა და ჯიშის ოპპორტუნიზმთან.

ამ უდიდეს წარმატებათა მიუხედავად, 1931 წლის საგეგმო დავალებანი. სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში—მრეწველობასა, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობაში—მთლად შესრულებულ ვერ იქნა, განსაკუთრებით თვისებრივ მაჩვენებელთა ხაზით.

ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საკმარისად გამოყენებულ არ იქნა უდიდესი შესაძლებლობანი, რასაც მეურნეობის სოციალისტური სისტემა შეიცავს, არის სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, კონკრეტული ხელმძღვანელობის მოუგვარებლობა, შრომის ორგანიზაციის სისუსტე, წარმოებისა და მმართველობის გარდაქმნის ნელი ტემპები, რაც შედეგია ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მინიშნების არასაკმარისად სწრაფი და არასავსებით შესრულებისა.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესსია ადგენს:

ა. მრეწველობის ხაზით.

1. მთელი განსაზოგადოებული მრეწველობის (სარეწაო კოოპერაციის ჩათვლით) საერთო პროდუქციის ზრდა 1932 წლისთვის განისაზღვროს 39,2 პროცენტის რაოდენობით, რაც ნიშნავს ხუთწლედის 31,0 პროც. გადამეტებით შესრულებას.

მრეწველობის იმ დარგების საერთო პროდუქციის ზრდა, რომლებიც ჰქმნიან წარმოების საშუალებათ, განისაზღვროს 33,5 პროცენტის რაოდენობით, ხოლო იმ დარგებისა, რომლებიც ჰქმნიან მოხმარების საშუალებათ,—42 პროცენტის რაოდენობით; სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის ზრდა განისაზღვროს 59,4 პროცენტის რაოდენობით.

2. მომქმედი ელექტროსადგურების საერთო ძალოვნება 1932 წ. ბოლოსათვის მიღწევინებულ იქნეს 293.800 კილოვატამდე, 161.000 კილოვატთან შედარებით, რაც 1931 წელს იყო, ხოლო ელექტროენერგიის დამუშავების ზრდა—1.110.000.000 კილოვატსაათამდე, 729.000.000 კილოვატსაათთან შედარებით, რაც 1931 წ. იყო.

3. ელექტრომშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხა განისაზღვროს 57.100.000 მან. და 1932 წელს დაწყებულ იქნეს დიდრონი ჰიდროელექტროცენტრალების მშენებლობა: ხრამჰესისა, კახსი-გუმუშჰესისა და აზერბაიჯანის ჰიდროცენტრალისა (ყარასახკალჰესისა).

4. უზრუნველყოფილ იქნეს 1932 წელს ტყიბულში ახალი წოლხვრელების (შტოლნების) გამოღება და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების ექსპლოატაციის დაწყება; ტყვარჩელის კაპიტალურ სამუშაოთა პროგრამა განისაზღვროს 15.100.000 მან. რაოდენობით.

5. დამთავრებულ. იქნეს 1932 წელს მთელი სამომზადებლო მუშაობა 1933 წლიდან დაშქესანის სამეტალურგო კომბინატის მშენებლობის დაწყებისათვის.

6. ფერადი მეტალურგიის განვითარების ხაზით უზრუნველყოფილ იქნეს 1932 წელს განჯის საცდელი ქარხნის ამოქმედება ალუნიტებიდან ალუმინის ჟანგის დასამუშავებლად.

დაწყებულ იქნეს ზესტაფონის ფერრო-მარგანეციის ქარხნის ექსპლოატაცია და 1932 წელს დამუშავდეს 20.000 ტონნა ფერრო-მარგანეცი. დაჩქარებულ იქნეს სპილენძის მრეწველობის განვითარების ტემპი, რისთვისაც 1932 წელს კაპიტალურ ხარჯთა რაოდენობა განისაზღვროს 14.000.000 მანეთით და უზრუნველყოფილ იქნეს ამუშავება ალავერდში სპილენძ-სადნობი ღუმელისა 15.000 ტონნას რაოდენობით, ზანგეზურში—საფლოტაციო ფაბრიკისა 950 ტონნა მადნის რაოდენობით დღედაღამეში; უზრუნველყოფილ იქნეს აგრეთვე ალავერდისა და კაფანის სამადნოების ძირითადი რეკონსტრუქცია.

დაწყებულ იქნეს 1932 წლიდან გეოლოგიურ-საძიებლო სამუშაოების უფრო ფართოდ გაშლა.

7. დიდ სოციალისტურ მრეწველობაში მოსაქმე პროლეტარიატის ზრდა განისაზღვროს 15,1 პროცენტით 1931 წელთან შედარებით და მრეწველობაში სამუშაო ხელფასის ფონდის ზრდა—25,6 პროცენტით, რამაც უნდა უზრუნველჰყოს სამრეწველო მუშების საშუალო სამუშაო ხელფასის 10,1 პროცენტით გადიდება.

8. შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში განისაზღვროს 22 პროცენტით. დაევალოს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას—უზრუნველჰყოს 1932 წ. განმავლობაში ისეთი მდგომარეობა, რომ მუშათა რიცხვი სავსებით შეესაბამებოდეს შრომის ნაყოფიერების ზემოაღნიშნულ ზრდას.

9. მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 1932 წელს განისაზღვროს 8,5 პროცენტით წინაადმდეგ ფაქტიური საშუალო წლიური თვითღირებულებისა, რაც 1931 წელს იყო, (აქედან: „აზნევთში“—11%-ით, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მრეწველობაში—5,5% ით,

მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობაში—7%-ით). ეს შემცირება ღვითღირებულებისა მიღწეულ უნდა იქნეს ნედლეულისა, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების შემცირებით პროდუქციის ერთეულზე, ბრაკისა, ნარჩომისა და სხვა დანაკლებთა პროცენტის უეჭველი შემცირებით, გაწყობილობის უფრო სრულად გამოყენებით, შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებათა შესრულებით, რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციის ღონისძიებათა ფართო ჩატარებით და საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების მტკიცე ეკონომიით.

ბ. სოფლის მეურნეობის ხაზით.

10. ნათესი ფართობის საერთო რაოდენობა 1932 წელს მიღწევინებულ იქნეს 2.656.000 ჰექტარამდე წინააღმდეგ 2.358.800 ჰექტარისა, რაც 1931 წელს იყო (ზრდა 12,6 პროცენტით); აქედან ბამბის ნათესი ფართობი მიღწევინებულ იქნეს 240.700 ჰექტარიდან 295.000 ჰექტარამდე (ზრდა 22,6%-ით), თამბაქოსი—28.500 ჰექტარიდან 34.000 ჰექტარამდე (ზრდა 19%-ით), ჩაისა—23.900 ჰექტარიდან 48.900 ჰექტარამდე (ზრდა 104,3%-ით).

საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი 1932 წ. განისაზღვროს 156.000 ჰექტარის რაოდენობით წინააღმდეგ 69.400 ჰექტარისა, რაც 1931 წელს იყო, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში—1.203.000 ჰექტარამდე წინააღმდეგ 598.000 ჰექტარისა, რაც 1931 წელს იყო.

11. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი 1932 წელს მიღწევინებულ იქნეს 49-დე (აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—28, სომხეთის სსრ-ში—7 და საქართველოს სსრ-ში 14) წინააღმდეგ 30-სა, რაც 1931 წ. იყო, ხოლო ამ სადგურების სატრაქტორო პარკის ძალოვნება—26.000 ცხენის ძალამდე წინააღმდეგ 18.000 ცხენის ძალისა, რაც 1931 წ. იყო.

12. საკოლმეურნეო მშენებლობის სფეროში 1932 წელს ძირითადი ყურადღება მიეპყროს კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას და უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტიური მეურნეობების შემდგომი ზრდა.

13. 1932 წელს მსხვილფეხა ოთხფეხი რქოსანი საქონლის რიცხვი საბჭოთა მეურნეობებში მიღწევინებულ იქნეს 68.400 სულამდე (წინააღმდეგ 42.000 სულისა, რაც 1931 წ. იყო), ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში—934.400 სულამდე (წინააღმდეგ 424.200 სულისა, რაც 1931 წ. იყო); აქედან ძროხები საბჭოთა მეურნეობებში—38.000-დე (წინააღმდეგ 20.000 სულისა), ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში—149.000 სულამდე (წინააღმდეგ 77.000 სულისა); წვრილფეხა რქოსანი საქონლის რიცხვი მიღწევინებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებში 375.000 სულამდე (წინააღმდეგ 280.000 სულისა), ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში—951.000 სულამდე (წინააღმდეგ 370.000 სულისა); ღორთა რაოდენობა მიღწევინებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებში 40.000 სულამდე (წინააღმდეგ 11.600 სულისა), ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში—160.000 სულამდე (წინა-

ალმდეგ 75.000 სულისა); ფრინველთა რიცხვი საინკუბატორო-საფრინველო სადგურებზე მიღწევინებულ იქნეს 600.000 ფრთა ფრინველამდე.

14. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—შეიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებანი მეცხოველეობის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, პირველ რიგში კი—მეცხვარეობისა.

15. დაევალოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—შეიმუშაოს ღონისძიებათა გეგმა მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობის მკვიდრობაზე გადაყვანისათვის.

8. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით.

16. ტვირთბრუნვის რაოდენობა სარკინისგზო ტრანსპორტზე 1932 წელს მიღწევინებულ იქნეს 12.000.000 ტონამდე წინააღმდეგ 9.000.000 ტონნისა, რაც 1931 წ. იყო; ეს შეადგენს სარკინისგზო ტრანსპორტის ხუთწლიანი გეგმის გადამეტებას 50,8 პროცენტით.

17. ამიერკავკასიის რკინის გზების საექსპლოატაციო ქსელის რეკონსტრუქციის ხაზით უზრუნველყოფილ იქნეს 1932 წელს ელექტროფიცირებული საუღელტეხილო უბნის (სტალინისი—სამტრედია) ექსპლოატაციაში მოქცევა.

18. დაწყებულ იქნეს 1932 წელს კავკასიის მთავარ ქედზე გადასაყვანი საუღელტეხილო ელექტრო-რკინის-გზის საძიებლო სამუშაოები.

19. ურელსო ტრანსპორტის ხაზით საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე გზების (საქართველოს სამხედრო გზა, შავიზღვის სანაპირო გზა, ზემოსვანეთისა, ტფილის-საათისა და ზაქათალა-ნახიჩევანის გზა) კაპიტალური სამუშაოების გეგმა განისაზღვროს 6.000.000 მან. რაოდენობით, ხოლო საერთო მანძილი 1.129 კილომეტრის რაოდენობით; რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე გზების ახალი მშენებლობისა—5.800.000 მან. რაოდენობით, ხოლო საერთო მანძილი 2.170 კილომეტრის რაოდენობით.

20. რადგანაც ურელსო ტრანსპორტის ხაზით გადადებული სახსარი საკმარისი არ არის, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—გამოსძებნოს საჭირო სახსარი საგზაო მშენებლობის დაფინანსების გასაძლიერებლად.

21. უზრუნველყოფილ იქნეს 1932 წელს რკინის გზების გადაზიდვების თვითღირებულების შემცირება არა ნაკლებ ვიდრე 10 პროცენტით—1931 წ. გადაზიდვების ფაქტიურ თვითღირებულებასთან შედარებით.

22. სათბობის ნორმები რკინის გზებზე შემცირებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 9 პროცენტით წინააღმდეგ 1931 წ. ხარჯის ფაქტიური ნორმებისა.

23. დაწესებულ იქნეს 1932 წლისთვის სარკინისგზო ტრანსპორტის ხაზით შემდეგი საწარმოო-სატეხნიკო დავალებანი:

ა) ვაგონების საშუალო-სადღეღაღამეო დატვირთვის გადიდება 2.100 ვაგონამდე წინააღმდეგ 1.677 ვაგონისა, რაც 1931 წელს იყო;

ბ) სატვირთო ორთქლმავლების საშუალო-სადღეღაღამეო გარბენის ნორმების გადიდება 168 კილომეტრამდე (წინააღმდეგ 161,6 კილომეტრისა, რაც 1931 წ.

იყო) და სატვირთო ვაგონის საშუალო-სადღეღაღამეო გარბენის ნორმების გადიდება 161 კილომეტრამდე (წინააღმდეგ 124 კილომეტრისა, რაც 1931 წ. იყო).

24. კავშირგაბმულობის მთელი პროდუქციის ზრდა განისაზღვროს 40 პროცენტით 1931 წელთან შედარებით. დამთავრებულ იქნეს სატელეფონო ქსელის ავტომატიზაცია ქ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს აღძრას სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე საკითხი კავშირგაბმულობის მშენებლობისათვის საჭირო მასალის გაცემის უზრუნველყოფის შესახებ.

დ. კომუნალური და საბინაო მეურნეობის ხაზით.

25. დამტკიცებულ იქნეს 1932 წლისთვის საერთო მოცულობა კაპიტალური დაბანდებებისა ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების კომუნალურ მეურნეობაში 58.000.000 მან. რაოდენობით და საბინაო მშენებლობაში 55.600.000 მან. რაოდენობით—ისე, რომ კაპიტალურ დაბანდებათა ძირითადი მასსა (89,3 პროც.) კომუნალური მეურნეობის ხაზით კონცენტრირებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უაღრესი მნიშვნელობის მქონე პროლეტარულ ცენტრებში—ბაქოსა, ტფილისსა, ერივანსა, განჯასა, ქუთაისსა, ჭიათურასა, ბათუმსა, სოხუმსა, ლენინაკანსა, ნახიჩევანსა და ნუხაში.

ე. მომარაგების ხაზით.

26. საქონელთბრუნვის ზრდა 1932 წელს განისაზღვროს 29,5 პროცენტით წინააღმდეგ 1931 წლისა, თანაც განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონის გადიდებით საქონელთბრუნვაში 90 პროცენტიდან, რაც 1931 წელს იყო, 96,6 პროცენტამდე.

27. მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ზრდა 1932 წ. განისაზღვროს 41,9 პროცენტით; აქედან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მსუბუქი მრეწველობის ხაზით—37,2 პროცენტით, ხოლო მომარაგების სახალხო კომისარიატის საჭამადო მრეწველობის ხაზით—43,4 პროცენტით.

28. მსუბუქი ინდუსტრიის ხაზით გადიდებულ იქნეს ძალოვნება ლენინაკანში და განჯაში არსებული ბამბეული ფაბრიკებისა; დაწყებულ იქნეს 1932 წ. ახალი სახის წარმოების ორგანიზაცია—კოტონინის და ტყავ-სუროგატების ქარხნებისა და დამთავრებულ იქნეს ჭრა-კერვის ფაბრიკის მშენებლობა ბაქოში.

29. საჭამადო მრეწველობის ხაზით კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა 1932 წელს განისაზღვროს 51.000.000 მანეთით წინააღმდეგ 11.800.000 მან., რაც 1931 წ. იყო.

30. გაშლილ იქნეს მაღაზიების ქსელი მომარაგების სახალხო კომისარიატისა, სამომხმარებლო კოოპერაციისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სარეწაო კოოპერაციის ხაზით, რისთვისაც სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ქსელის წერტილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი მიღწევინებულ იქნეს ქალაქად და სოფლად 12.500-დე წინააღმდეგ 10.200-სა, რაც 1931 წ. იყო; ამასთანავე, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ცალობითი ვაჭრობის მაღაზიების გახსნა ყველა სარაიონო ცენტრსა და სამრეწველო პუნქტში.

31. ფართოდ იქნეს გაშლილი 1932 წელს მშენებლობა საზოგადოებრივი კვების ხაზით. კაპიტალურ დაბანდებათა თანხა საზოგადოებრივი კვების ხაზით განისაზღვროს 8.056.000 მან.

8. შრომისა, კადრებისა და კულტურის ხაზით.

32. მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი მრეწველობასა, მშენებლობასა, ტრანსპორტსა, სოფლის მეურნეობასა (საბჭოთა მეურნეობებში) და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში განისაზღვროს 1932 წელს 806.000 კაცამდე წინააღმდეგ 688.000 კაცისა, რაც 1931 წ. იყო (ზრდა 17 პროცენტით).

33. რადგანაც საბჭოთა სარაიონო ქვედა აპარატის განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სარაიონო და სასოფლო საბჭოებისათვის საჭირო კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესებას და გაძლიერებულ იქნეს ამ კადრების მომზადება და გარდამზადება.

34. მასსური განათლების ხაზით 1932-33 სასწავლო წელს I და II კონცენტრის სკოლებში მოსწავლეთა კონტიგენტი მიღწევინებულ იქნეს 1.267.000-დე, რაც უზრუნველჰყოფს საყოველთაო სწავლების სრულ განხორციელებას საქართველოს სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში და აგრეთვე ნორმალური ასაკის ბავშვთა 90 პროცენტის საყოველთაო სწავლებით მოცვას აზერბაიჯანის სსრ-ში.

35. განისაზღვროს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შემდეგი კონტიგენტების გამოშვება 1932 წელს: უმაღლეს სასწავლებლებიდან—4.253 კაცისა, ტეხნიკუმებიდან—10.250 კაცისა, მუშათა ფაკულტეტებიდან—8.188 კაცისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან—8.924 კაცისა.

36. ფართოდ იქნეს გაშლილი 1932 წელს ა/კსფსრ-ში საკურორტო მშენებლობა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკურორტო მშენებლობას საქართველოს სსრ-ში, რასაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

37. სასანიტარო საწოლების რაოდენობა კურორტებზე მიღწევინებულ იქნეს 3.180-დე წინააღმდეგ 2.130-სა, რაც 1931 წ. იყო (ზრდა 46,9 პროც.).

38. ჯანმრთელობაზე გასაწევ ყველა ხარჯის თანხა მიღწევინებულ იქნეს 1932 წელს 80.000.000 მანეთამდე წინააღმდეგ 60.700.000 მანეთისა, რაც 1931 წ. იყო (ზრდა 32 პროც.); ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მალარიასთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათ.

9. კაპიტალური მშენებლობისა და სახალხო შემოსავლის საერთო მოცულობის ხაზით.

39. სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების გაშლის გეგმებთან შესაბამისად ა/კსფსრ სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1932 წლისთვის დამტკიცებულ იქნეს 955.900.000 მან. რაოდენობით წინააღმდეგ 583.700.000 მანეთისა, რაც 1931 წ. იყო.

40. მშენებლობის თვითღირებულების შემცირება განისაზღვროს 1932 წ. არა ნაკლებ, ვიდრე 10 პროცენტით 1931 წლის ფაქტიურ თვითღირებულებასთან შედარებით; აქედან წმინდა მშენებლობის თვითღირებულების შემცირება— არა ნაკლებ 17 პროცენტისა.

41. დაევალოს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოს მიაღწიოს 1932 წელს მაქსიმალურ ეკონომიას საშენი მასალის ხარჯვაში, ახალი საშენი მასალის (თბობეტონი, ფეგროლიტი, მინქაფა, თირი, დიატომიტი და სხვ.) წარმოებას და მოხმარებას და მშენებლობაში მუშა-ხელის რაციონალურ გამოყენებას, სამშენებლო მექანიზმების უფრო სრულად გამოყენებას, მშენებლობის კონსტრუქციის გაადვილებას და სტანდარტიზაციას და სიმკვიდრის ზედმეტი მარაგის თავიდან აცილებას, რაც აძვირებს კაპიტალურ სამუშაოებს.

42. ა/კსფსრ-ის 1932 წლის სახალხო შემოსავალი განისაზღვროს 2.298.000.000 მანეთის რაოდენობით წინაალმდეგ 1.735.000.000 მანეთისა, რაც 1931 წელს იყო (ზრდა 32,4 პროც.), სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის გადიდებით ამ სახალხო შემოსავალში 86,9 პროცენტამდე წინაალმდეგ 78,2 პროცენტისა, რაც 1931 წ. იყო.

43. 1932 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის აღსრულება ნიშნავს ა/კსფსრ ხუთწლედის ოთხ წელიწადში დამთავრებას, ხოლო სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ამ ხუთწლედის გადამეტებით შესრულებას.

ეს უდიდესი წარმატება სოციალიზმის აშენებისათვის წარმოებულ ბრძოლაში იქნება დიდი გამარჯვება არა მარტო ამიერკავკასიის მუშათა კლასისა, არამედ აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა.

1932 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება მოითხოვს მუშათა კლასისა და საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეების ძალთა მაქსიმალურ მობილიზაციას იმ ბრძოლისათვის, რაც ხელს შეუწყობს მოწინავე ტეხნიკის დაუფლებას, შრომისა და წარმოების უკეთესად მოწყობას, გაუპიროვნებისა და გათანაბრების ლიკვიდაციას, სამეურნეო ანგარიშის შთანერგვას, შრომის სოციალისტრი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმების შემდგომ განვითარებას და ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მინიშნების სრულ რეალიზაციას.

ა/კსფსრ-ის 1932 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა—იმ შეცდომების სრული ლიკვიდაცია, რაც ჩადენილ იქნა 1931 წელს ა/კსფსრ-ის სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში და ეს ლიკვიდაცია უნდა მოხდეს სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. ოქტომრის 31-სა და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. დეკემბრის 29-ის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელების საფუძველზე, ვინაიდან ეს გადაწყვეტილებანი ფართოდ გაშლილი პროგრამაა ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობისა მთელი რიგი წლების განმავლობაში.

ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს ყურადღების ცენტრში დაყენებულ უნდა იქნეს პარტიისა და მთავრობის დირექტივების და საკუთარი დადგენილებების აღსრულების შემოწმება.

მიღებულ გადაწყვეტილებათა სამუდამდღეო შემოწმება, რაც მიღწევინებულ უნდა იქნეს სრულ ამოწურვამდე და დასახული ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტამდე, უნდა შეადგენდეს 1932 წლის მუშაობის ძირითად მეთოდს.

კლასობრივი მტრის ულმობელი შემუსვრით, საკოლმეურნეო გლეხობის ფართო მასსებზე დაყრდნობით, ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური ძალოვნების განმტკიცებით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ნაციონალური რესპუბლიკების თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის ფართო გაშლით—ამიერკავკასიის მუშათა კლასი, მთლად სსრკ-ის მუშათა კლასთან ხელიხელ გადაბმული, პატიოსნურად შეასრულებს მის წინაშე დაყენებულ ისტორიულ ამოცანას—1932 წელს ხუთწლედის ოთხ წელიწადში სრულს დამთავრებას.

2. ა/კსფსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

მოისმინა და განიხილა-რა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება ა/კსფსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. დამტკიცებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტი ა/კსფსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა შემდეგ თანხებად:

ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ჯამლის ხაზით:

ხარჯები	317.373.100	მან.
შემოსავალი	152.483.100	„
ბრუნვის გადასახადის ანარიცხები . .	164.890.000	„

ა/კსფსრ საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის ჯამლის ხაზით:

ხარჯები	124.064.300	მან.
შემოსავალი	24.513.100	„
ბრუნვის გადასახადის ანარიცხები . .	99.551.200	„

აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამლის ხაზით:

ხარჯები	76.388.800	მან.
შემოსავალი	65.161.900	„
ბრუნვის გადასახადის ანარიცხები . .	11.226.900	„

სომხეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამლის ხაზით:

ხარჯები	33.736.500	მან.
შემოსავალი	15.407.500	„
ბრუნვის გადასახადის ანარიცხები . .	18.329.000	„

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ჯამლის ხაზით:

ხარჯები	83.183.500 მან.
შემოსავალი	47.400.600 „
ბრუნვის გადასახადის ანარიცხები . .	35.782.900 „

II. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ 1932 წ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი აგებულია ახალი კანონის საფუძველზე—სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ:

1) რა კანონითაც დოტაციის სისტემა შეცვლილია ბრუნვის გადასახადის ანარიცხებით და რაც აფართოებ რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების საშემოსავლო ბაზისს, იწვევს-რა მათ დაინტერესებას საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლისადმი და ამტკიცებს-რა მათ საბიუჯეტო-საფინანსო დამოუკიდებლობას;

2) რა კანონიც ამყარებს იმ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა შემოსავლის სპეციალურ ანარიცხებს, რომელნიც ამუშავებენ ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების უმნიშვნელოვანესი სახის ბუნებრივ სიმდიდრეთ—ნავთს, ბამბას და სხვა მისთ.

III. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი აგებულია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაზე იმავე პერიოდისათვის და უზრუნველჰყოფს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე რეკონსტრუქციისა და კულტურული რევოლიუციის ამოცანების შესრულების სწრაფ ტემპებს.

IV. ა/კსფსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შედგენილობაში მიღებულ იქნეს:

1. საგადასახადო შემოსავლის ხაზით	95.296.400 მან.
აქედან:	
ა) ნავთის სპეციალური ანარიცხები	16.000.000 „
ბ) ბამბის „ „	7.800.000 „
გ) კინოს ბრუნვის გადასახადი	6.000.000 „
დ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი . . .	20.800.000 „
ე) განსაზოგადოებული სექტორის საშემოსავლო გადასახადი	2.345.400 „
ვ) კულტურული გადასახადი	42.351.000 „
2. არასაგადასახადო შემოსავლის ხაზით	27.339.900 “
აქედან:	
ა) სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ქვემდებარე მრეწველობის მოგების ანარიცხები	15.300.000 „
ბ) სას.-სამ. საწარმოთა მოგების ანარიცხები	1.000.000 „
გ) მომარაგების სახ. კ-ტის მრეწველობის მოგების ანარიცხები	924.100 „
დ) ვაჭრობის მოგების ანარიცხები	7.515.800 „

ე) ფინანსთა სახალხო კომისარიატის სამეურნეო ორ-
განოების შემოსავალი . . . . . 600.000 „
ვ) სხვადასხვა სახის შემოსავალი . . . . . 2.000.000 „
ზ) სახელმწიფო სესხთა ანარიცხები . . . . . 29.846.800 „

ამასთანავე აღინიშნოს, რომ:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტი გამოხატავს სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის შემოსავლის ინტენსიურ ზრდას, რასაც თანა სდევს კერძო სექტორის სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა საერთო შემოსავლიანობის ბრუნვის თვალსაჩინო შემცირება;

ბ) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი აგებულია იმ პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს განსაზოგადოებული სექტორის საშუალებათა დაგროვებას და სამეურნეო ანგარიშის პრინციპის და საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცებას;

გ) ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში დამთავრებისა მოითხოვს ა/კსფსრ 1932 წლის ბიუჯეტით დასახული საშემოსავლო პროგრამის აუცილებლად შესრულებას; კერძოდ—უცილობლად იმ ნარჩენის ლიკვიდაციას, რაც კერძო სექტორზე ირიცხება.

V. ა/კსფსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შედგენილობაში მიღებულ იქნეს შემდეგი თანხები:

1. სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის . . . . 105.810.000 მან.
აქედან:
ა) მრეწველობის დაფინანსებისათვის . . . . . 34.300.000 „
ბ) ელელექტროფიკაციის „ . . . . . 7.000.000 „
აქედან: ადგილობრივი ელექტრომშენებლობისათვის 6.000.000 „
სასოფლო ელექტრომშენებლობისათვის . . . 1.000.000 „
გ) სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის . . . . 40.610.000 „
აქედან: საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის 22.452.000 „
კოლექტიური მეურნეობების დაფინანსებისათვის 7.100.000 „

აღინიშნოს ამასთანავე, რომ ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსარიდან სასოფლო მეურნეობის დაფინანსებისათვის მიქცეული ასიგნების გაძლიერება უზრუნველჰყოფს იმ ამოცანების აღსრულებას, რაც 1932 წელს სდგას სასოფლო მეურნეობის წინაშე; ეს ამოცანებია საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების განმტკიცების ბაზისზე სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესის შემდგომი გაშლა;

დ) წყლის მეურნეობის ხაზით . . . . . 15.300.000 მან.
აქედან:
გამოკვლევისათვის . . . . . 700.000 „
წვრილი მშენებლობისათვის . . . . . 7.900.000 „
ნაპირების გამაგრებისათვის . . . . . 1.055.000 „
წყალდიდობასთან ბრძოლისათვის . . . . . 1.045.000 „

ექსპლოატაციისათვის . . . . . 4.600.000 „

ე) ურელსო საგზაო მშენებლობისათვის (ახალი გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობა და არსებული ქსელის გაფართოება და მშენებლობა) . . . . . 7.600.000 „

2. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის . . . . . 92.120.000 „

აქედან:

ა) განათლებისათვის—72.450.000 მან.; ამასთანავე, ამ თანხით უზრუნველყოფილია ძირითადად კადრებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების დაფინანსება და აგრეთვე სასწავლებლების მშენებლობა;

ბ) სახალხო ჯანმრთელობისათვის—16.670.000 მან.; ამასთანავე ანგარიშში მიღებულია ა/კსფსრ-ში საწოლთა ქსელის აუცილებელი გაფართობა, მედიკამენტებისა, ავადმყოფების მომარაგებისა და კვების ნორმების გადიდება, სამედიცინო დარგის მომუშავეთა სამუშაო ხელფასის დაწინაურებულ ნორმებამდე მიღწევინება, მალარიასთან ბრძოლისათვის ასსიგნების გაძლიერება და კურორტების მშენებლობა.

3. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით, იხმაროს ღონისძიება საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების ფაქტიური თანხების ნამდვილად შემცირებისათვის 1931 წლის ხარჯებთან შედარებით.

4. ადგილობრივ ბიუჯეტში გადასაცემი სახსარი მიღებულ იქნეს—82.843.100 მან. რაოდენობით.

აღნიშნულ იქნეს, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების საკონტროლო ციფრები უზრუნველჰყოფს მთავრობის დირექტივების განხორციელებას, კერძოდ ნეიტრალურ სალდოს კომუნალურ მეურნეობაში რესპუბლიკების ხაზით, საყოველთაო სწავლების საქმის დამთავრებას სომხეთში და საქართველოში 1932 წელს და აზერბაიჯანის სსრ-ში—1933 წელს, დამოუკიდებელი ბიუჯეტების შექმნას სასოფლო საბჭოებში და სხვა უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო და კულტურულ ღონისძიებას.

VI. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს, სამეურნეო ანგარიშის უცილობლად განხორციელებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საფუძველზე, საშუალებათა დაგროვების გეგმის სავსებით შესრულება და ყველა მისი ქვემდებარე სამეურნეო ორგანოს მიერ თავისი მოვალეობის შესრულება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

VII. სსრ კავშირის საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესსის დადგენილების შესაბამისად, რათა მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმა უზრუნველყოფილ იქნეს რესსურსებით დაუცადებლად:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გადააკეთონ სახალხო მეურნეობის საბიუჯეტო დაფინანსების სისტემა მეურნეობის ცალკეული დარგებისა, დიდრონი სამეურნეო და ორგანოებისა უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო საწარმოთა მიზნობრივი დაფინანსების საფუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველზე და დაამყარონ მუდმივი კონტროლი სახსართა ხარჯვისათვის აღნიშნული მიზნების სრული შესაბამისობით.

2. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მთელ საფინანსო სისტემას—მოაწყონ ნამდვილი და ყოველმხრივი კონტროლი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტებით გადადებულ სახსართა სისწორით გამოყენებისათვის და ეცადნენ, რომ მიღწეულ იქნეს ეკონომიის რეჟიმი და საფინანსო-საბიუჯეტო და საკრედიტო დისციპლინა.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საბჭოებს—უზრუნველჰყონ შემდგომი მასსური პოლიტიკური მუშაობის გაშლა მოსახლეობის სახსართა სამობილიზაციოდ სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის.

VIII. რადგანაც ქ. ბაქოს ბიუჯეტი 51.380.000 მან. რაოდენობით როდი უზრუნველჰყოფს მთელ რიგ უაღრესი მნიშვნელობისა და გადაუდებელ ხარჯებს ამ ქალაქის მუშათა მოსახლეობისათვის სოციალურ-კულტურული მომსახურეობის გაწევის სფეროში,—აღიძრას შუამდგომლობა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დამატებით 7.500.000 მან. გადადების შესახებ ქალ. ბაქოს შემოსავალსა და გასავალს შორის ნავარაუდევი განსხვავების დასაფარავად.

IX. ვინაიდან ახალი კანონით საბიუჯეტო უფლებათა შესახებ განსაზღვრულია რესპუბლიკების შემოსავალში სპეციალური ანარიცხის გადადება იმ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა ხაზით, რომელნიც ამ რესპუბლიკების ამა თუ იმ სახის ბუნებრივ სიმდიდრეთ ამუშავებენ,—ეთხოვოს სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—განსაზღვროს ასეთი ანარიცხები აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ბიუჯეტში თამბაქოს ხაზით.

X. რადგანაც ა/კსფსრ-ში განსაკუთრებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს კავშირგაბმულობის მოწესრიგებას და განვითარებას,—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ- ადგილობრივი ბიუჯეტების საბოლოოდ განსაზღვრის დროს მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება სახალხო მეურნეობის ამ ჩამორჩენილ დარგს.

3. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ და მეორე სესსიებს შორის განვლილ პერიოდში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. გ. სულთანოვის მოხსენება იმ დადგენილებების შესახებ, რაც მიღებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ამ კომიტეტის სესსიებს შორის განვლილ პერიოდში და რაც, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების 21 მუხ-

ლის თანახმად, დამტკიცებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესსიის მიერ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი, რაც მიღებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ და რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესსიის მიერ.

1. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 36 მუხლის დამატებისა და 37, 67, 90 და 96 მუხლების შეცვლის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 164).

2. ა/კსფსრ შრომი კანონთა კოდექსის 34^{16} მუხლის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 68^{1} მუხლის დამატების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 52).

3. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-5 და 34 მუხლების შეცვლის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 50).

4. ა/კსფსრ-ის შორეულ ადგილებში და დიდრონი ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 140).

5. შრომის არტელების რეორგანიზაციის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 76).

6. ა/კსფსრ-ში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების რესპუბლიკანური ბიუჯეტების მოწყობის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 128).

7. ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ოლქების საბიუჯეტო უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-17 №-ი, მუხ. 197).

8. ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 90).

9. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 177).

10. ა/კსფსრ-ში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 141).

11. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს და ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს პროკურატურის მოწყობის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 144).

12. ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს მოწყობის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 145).

13. ა/კსფსრ უზენაესი სასამართლოს დებულების დამტკიცების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-16 №-ი, მუხ. 191).

14. ა/კსფსრ პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ (აკსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-16 №-ი, მუხ. 190).

15. ამიერკავკასიის სარკინისგზო სახაზო სასამართლოს დებულების დამტკიცების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1921 წ. მე-17 №-ი, მუხ. 198).

16. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-17 №-ი, მუხ. 199).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. იანვრის 28.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

51. შრომისა და წარმოების დაცვისათვის სახალხო სასამართლოს განსაკუთებული სესსიების მოწყობის შესახებ.

რათა სასამართლო ორგანოები ახლო იდგნენ წარმოებაზე იმ განსაკუთრებულ ამოცანებთან დაკავშირებით, რაც სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ პერიოდში მათ წინაშე სდგას, და აგრეთვე, რათა სასამართლოები გადაიქცნენ მოქმედებაუნარიან ორგანოებად იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართულია სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებისა და შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის,—ამიერკავკისიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ ამ რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების სისტემაში სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსიები შრომისა და წარმოების დაცვისათვის. განსაკუთრებული სესსიები მოწყობილ იქნეს ქვემოდ აღნიშნულ საფუძვლებზე.

2. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსიები შრომისა და წარმოების დაცვისათვის განიხილავენ საქმეებს:

ა) შრომის კანონმდებლობისა და კოლექტიური ხელშეკრულებების დარღვევის შესახებ;

ბ) შრომის დისციპლინის ბოროტეულად დარღვევის შესახებ;

გ) სამეურნეო დანაშაულის შესახებ, რასაც მოჰყვა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ჯგუფურ და ინდივიდუალურ დავათა შესახებ დამქირავებელთა და მშრომელთა შორის, რაც გამომდინარეობს შრომის ხასიათის ურთიერთობიდან, და რაც, შრომის მომქმედი კანონებისა და წესების თანახმად, განხილულ უნდა იქნეს სასამართლო წესით.

სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესსიას, მისი თავმჯდომარის სახით, შეიძლება დაეკისროს აგრეთვე ზედამხედველობა საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს მოქმედებისათვის.

3. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსიები შრომისა და წარმოების დაცვისათვის მოეწყობა ყველა დიდ ქალაქში და იმ ადგილებში, სადაც თავმოყრილია თვალსაჩინო სამრეწველო საწარმონი.

სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსიების მოწყობის ადგილებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში განსაზღვრავს სათანადო უზენაესი სასამართლო, შრომის სახალხო კომისარიატთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და ამ რესპუბლიკის პროკურორთან შეთანხმებით.

4. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსია შრომისა და წარმოების დაცვისათვის მოქმედობს სახალხო მოსამართლის თავმჯდომარეობით, რომელსაც სპეციალურად გამოჰყოფს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო სათანადო რაიონის სახალხო მოსამართლეთაგან, რათა მან მუდმივი ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნიშნულ სესსიას, და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით, რომელთაგან ერთი უნდა იყოს სამეურნეო დარგის მომუშავე, ხოლო მეორე მოწინავე მუშა; ეს სახალხო მსაჯულნი მიიწვევიან რიგრიგობით იმ მოქალაქეთაგან, რომელნიც მოთავსებულ იქნებიან სახალხო მსაჯულთა ორ სპეციალურ სიაში; ეს სიები შედგენილ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-5 მუხლის წესისამებრ.

5. ყოველწლივ სახალხო მსაჯულთა საერთო სიების შედგენის დროს იმ ადგილას, სადაც მოქმედობს სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსია შრომისა და წარმოების დაცვისათვის, შედგენილ უნდა იქნეს სახალხო მსაჯულთა ორი სპეციალური სია ამ სესიისათვის მომსახურეობის გასაწევად.

პირველ სიას შეადგენს უწყებული რაიონის სახალხო მსაჯულთა საერთო სიის შემდგენელი ორგანო იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც უჭირავთ პასუხსაგები სამეურნეო თანამდებობანი სახელმწიფო საწარმოში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში; მეორე სიას შეადგენს სათანადო საქალაქო ან სარაიონო საკავშირთშორისო პროფესიონალური ორგანიზაცია საფაბრიკო-საქარხნო და სხვა საწარმოთა მუშა-დამკვრელთაგან, რომელნიც აირჩევიან ამ საწარმოთა მუშების საერთო კრებაზე.

აღნიშნულ სპეციალურ სიებში შესატან სახალხო მსაჯულთა რიცხვი და აგრეთვე კანდიდატების დამსახელებელ ცალკეულ საწარმოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციათა შორის კანდიდატების განაწილების წესები განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

იმ სახალხო მსაჯულთა სპეციალურ სიას, რომელთაც მომსახურეობა უნდა გაუწიონ სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესსიებს შრომისა და წარმოების დაცვისათვის, ამტკიცებენ სათანადო საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც მოვალენი არიან ამოშალონ ამ სიებიდან ყველა ის პირი, ვინც არ შეეფერება სახალხო მსაჯულისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

6. ზემოაღნიშნულ სპეციალურ სიებში შეტანილი სახალხო მსაჯულნი მიიწვევიან სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესსიაში მონაწილეობისათვის არა უმეტეს, ვიდრე ხუთი დღით წელიწადში.

II.

ამა დადგენილების I-ლი კარის შესაბამისად:

1. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) 169 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„169. ის ორგანოები, რომლებმაც უნდა განიხილონ საქმეები სისხლის სამართლის წესით გათვალისწინებული შრომის კანონთა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა დარღვევის შესახებ, არიან სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსიები შრომისა და წარმოების დაცვისათვის, ხოლო იქ, სადაც ეს სესიები არ დაარსებულა,—სახალხო სასამართლო. ამავე ორგანოებში განიხილება აგრეთვე დამქირავებელთა და მშრომელთა შორის აღძრული ინდივიდუალური და ჯგუფური დავანი, რაც გამომდინარეობს შრომის ხასიათის ურთიერთობისაგან; ასეთ დავათა განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია ამა კოდექსით და სამოქრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესისამებრ შრომის კონფლიქტების განხილვის წესებით“;

ბ) 169 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს;

გ) 93² და 168 მუხლებში, 172¹ მუხლის შენიშვნაში, 172² მუხლის „დ“ პუნქტში და 174¹ მუხლში სიტყვები: „შრომის საქმეთა სესსიაში“, „სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესსიებში“, „სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა სესსია“, „სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა სესიის მიერ“ და „შრომის საქმეთა სესსის მიერ“—შეცვლილ იქნეს თავ-თავის ადგილას სიტყვებით „სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესსიაში შრომისა და წარმოების დაცვისათვის (ან სახალხო სასამართლოში)“, „სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესსიებში შრომისა და წარმოების დაცვისათვის, ხოლო იქ, სადაც ეს სესსიები არ დაარსებულა, სახალხო სასამართლოში“, „სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესსიაში შრომისა და წარმოების დაცვისათვის (ან სახალხო სასამართლოში)“, „სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსის მიერ შრომისა და წარმოების დაცვისათვის (სახალხო სასამართლოს მიერ)“ და „სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესსის მიერ შრომისა და წარმოების დაცვისათვის (ანსახალხო სასამართლოს მიერ)“.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—შეიტანონ ერთი თვის ვადაზე ამ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 11.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

52. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მრეწველობის გაწყობილობის აღწერის ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„მრეწველობის გაწყობილობის აღწერის ჩატარების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის 1931 წლის ნოემბრის 29-ის დიდგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 68 №-ი, მუხ. 457), რათა წარმატებით იქნეს განხორხორციელებული ღონისძიებანი მრეწველობის გაწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის და მისი შედგენილობისა და გამოყენების მიმდინარე აღნუსხვის ბაზისის შექმნისათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მრეწველობის გაწყობილობის აღწერა.

2. პირველ ყოვლისა 1932 წ. მარტ-აპრილის განმავლობაში ჩატარებულ იქნეს მანქანათმშენებლობისა, ელექტროტეხნიკური და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის გაწყობილობისა და მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ლითონდამმუშავებელი გაწყობილობის აღწერა, აქედან გზათა სახალხო კომისარიატის სირკინისგზო სახელოსნოებისა და ძირითად დეპოების გაწყობილობისა.

3. ა/კსფსრ-ში გაწყობილობის აღწერის მოწყობა და მისთვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების სახალხო სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოებს.

4. აღწერა ჩატარებულ იქნეს უწყებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ძალებით, მათივე პასუხისმგებლობის ქვეშ და საინჟენერო-სატეხნიკო ძალების მონაწილეობით.

5. წინადადება მიეცეს ყველა უწყებასა და ორგანიზაციას—დაამთავროს არა უგვიანეს აპრილის 1-სა მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის იმ დარგების გაწყობილობის პასპორტიზაცია, რაც აღნიშნულია მე 2 მუხლში.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ სათანადო დადგენილებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შვერდოვი.**

1932 წ. მარტის 15.
№ 462.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

53. საბეღლე-სასაწყობო მავნებლებთან ბრძოლის მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 27-ის დადგენილება საწყობებში მღრღნელთა და მავნებელთა მოსპობის ღონისძიებათა შესახებ, რომელი დადგენილებითაც მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებს დავალებული ჰქონდათ ბრძოლის წარმოება საბეღლე-სასაწყობო მავნებლებთან, მაშასადამე ბრძოლის წარმოება დანაკლისებთან სასაწყობო მეურნეობაში,—შესრულებული არ არის თვალსაჩინოდ.

2. გაეხსენოს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასაწყობო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას და წინადადება მიეცეს „პურცხოვკავშირისა", „ა/კ. სახვაჭრობისა", „ა/კ. კარაქტრესტისა", „სოიუზმიასო"-ს, საბჭოთა სავაჭრო ფლოტისა, „ა/კ. კავშირის" და „ინკოოპკავშირი"-ს ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ დასდვან ხელშეკრულება სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორასთან საბეღლე-სასაწყობო მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ ყველა მათი სისტემის ხაზით.

3. ყველა იმ ორგანიზაციამ, რომელიც ახალ საწყობებს აშენებს, მხედველობაში უნდა იქონიოს ამ საწყობების შენების დროს მავნებლებთან ბრძოლის საკითხი.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებმა უნდა გამოჰყონ მავნებლებთან ბრძოლის კონტორისათვის მასალები, რაც საჭიროა მღრღნელთა მისატყუებელ საშუალებათა დასამზადებლად.

5. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა, სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორასთან ერთად, უნდა დაიმუშაოს საკითხი შენობებისა და ტეხნიკური მერქანის მავნებლებთან (მჭამელა, გრძელულვაშა, ტერმიტი, სახლის სოკო) ბრძოლის ჩატარების შესახებ.

6. სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორამ უნდა უზრუნველჰყოს საბეღლე-სასაწყობო მავნებლებთან ბრძოლის სამუშაოები საჭირო მედპერსონალით და შხამეული მასალით.

7. საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა უნდა შეიტანოს სამუშაოთა გეგმაში თემა საბეღლე-სასაწყობო მავნებელთა შესახებ.

8. ექვსი თვის შემდეგ მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორის ცნობა ამა დადგენილების განხორციელების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1930 წ. თებერვლის 21.
№ 44.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო.

54. ტფილისში სამარგარინო ქარხნის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია, აღნიშნავს-რა, რომ სამარგარინო ქარხნის მშენებლობის ტემპები როდი უზრუნველჰყოფს ქარხნის ამუშავებას დადგენილ ვადაზე—1932 წ. ივნისის 1-თვის,—ასეთი მდგომარეობის მიზეზად სთვლის:

ა) „სოიუზმარგარინ"-ის მიერ ქარხნის განცხადების შეუსრულებლობა საჭირო საშენი მასალით (400 კუბ. მეტრი დახერხილი ხეტყე, 400 კუბ. მეტრი მრგვალი ხეტყე, 20 ტონნა საარმატურო რკინა, 7 ტონნა საგორავები, 800 კვად. მეტრის ფართობისათვის საჭირო კორპი ან მის სანაცვლოდ სხვა საიზოლაციო მასალა, მეტლახის ფილაქანი 6.000 კვ. მეტრის ფართობისათვის, 18 ტონნა ფოთლოვანი რკინა) მომარაგების თაობაზე ცენტრალიზებული წესით;

ბ) სამარგარინო ქარხნის სამმართველოს უბეჯითობა ტეხნიკური და საწარმოო მიზნებისათვის და სასმელად საჭირო წყლით უზრუნველყოფის საქმეში;

გ) ქარხნის მიერ „სოიუზმარგარინ"-თან კავშირის უქონლობა იმ საკითხების თაობაზე, რაც ეხება სათბობი გაწყობილობისა და ელექტროგაწყობილობის, აგრეთვე სსრკ ქარხნებში დასამზადებელი სხვა გაწყობილობის თავის დროზე დამზადებასა და წარმოგზავნას.

იმისდამიხედვით, რომ უკვე ორი წელიწადია, რაც ქარხანა შენდება და შესრულებულია მხოლოდ ძირითადი სამუშაოების 70%-ი, აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღძრულ იქნეს სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი იმის თაობაზე, რომ ქარხანა ძალიან მცირედ არის უზრუნველყოფილი

„სოიუზმარგარინ“-ის მიერ საშენი მასალით, სათბობი გაწყობილობით და ელექტროგაწყობილობით, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ქარხნის მშენებლობის დამთავრების ვადა—1932 წ. ივნისის 1-ლი.

2. დაევალოს სამარგარინო ქარხნის სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციასთან და ტფილისის საბჭოსთან ერთად, გამოარკვიოს და წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ერთი დეკადის ვადაზე საბოლოო ცნობები, რომლის მიხედვითაც ქარხანა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ტეხნიკური და საწარმოო მიზნებისათვის და სასმელად საჭირო წყლით.

3. დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და სამარგარინო ქარხნის სამმართველოს—წარმოუდგინონ 1932 წ. მარტის 15-ს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას ხელმეორედ მოხსენება 1932 წ. მარტის 15-თვის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ და ამა დადგენილების აღსრულების შედეგის თაობაზე.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. თებერვლის 21.
№ 45.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 49 №-ში 1932 წ. თებერვლის 28-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

55. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 7-ის დადგენილების იმ ნაწილის აღსრულების მსვლელობის თაობაზე, რაც მეაბრეშუმეობის საკვლევო სამუშაოების დაჩქარებას ეხება.

მოისმინა რა მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ცქიტიშვილის მოხსენება და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ბირიუშევის თანამოხსენება—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის იანვრის 7-ის დადგენილების იმ ნაწილის აღსრულების მსვლელობის თაობაზე, რაც მეაბრეშუმეობის საკვლევო სამუშაოების დაჩქარებას ეხება,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მუშაობა სააბრეშუმე მეურნეობის მექანიზაციის საქმეში მიმდინარეობს არასაკმარისი ტემპებით, რის გამოც სამეურნეო ორგანოებს აქამდე ჯერ კიდევ არა აქვთ ინსტიტუტის ის კონკრეტული დირექტივები მექანიზირებული სააბრეშუმე მეურნეობის ორგანიზაციის საკითხში, რაც შეიძლება საფუძვლად დაედვას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში მეაბრეშუმეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებათ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ცქიტიშვილის განცხადება, რომ აბრეშუმის ჭიის მექანიზირებული გამოკვების საბოლოო პროექტს ინსტიტუტი დაამთავრებს 1932 წ. მარტის 1-თვის და რომ ინსტიტუტმა უკვე დაამთავრა კოლექტიური მეურნეობისათვის ტიპური არამექანიზირებული საჭიე შენობების პროექტირება.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსტიტუტს—დაუყოვნებლივ გადასცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს და საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის ტრესტებს კოლექტიურ მეურნეობებში მოსაწყობი ტიპური საჭიე შენობების პროექტები.

4. დაევალოს „საქაბრეშუმს"—დაუყოვნებლივ გაშალოს, საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსტიტუტთან ერთად, მუშაობა დიღმის სააბრეშუმე საბჭოთა მეურნეობაში მექანიზირებული სააბრეშუმე მეურნეობის მოწყობისათვის ინსტიტუტის უკანასკნელი საორგანიზაციო და სატეხნიკო დასკვნათა საფუძველზე—ისეთი ვარაუდით, რომ მიმდინარე წელსვე შემოწმებულ იქნეს საწარმოო მასშტაბში და საბოლოოდ დადგენილი ამ დასკვნათა სისწორე და მიზანშეწონილობა.

5. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—მოისმინოს „საქაბრეშუმისა" და საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის ცნობა დიღმის საბჭოთა მეურნეობაში მექანიზირებული გამოკვების ორგანიზაციის მსვლელობისა და წინასწარი შედეგის შესახებ 1932 წ. ივლისის 1-თვის.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. თებერვლის 21.
№ 46.
ტფილისი.

მთავლიტი № 1259. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვ. 763. ტირაჟი 1.400